



შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის  
სტრატეგია კორონავირუსის COVID-19-ის  
პანდემიის გამოწვევებთან მიმართებით

## **მუხლი 1. შესავალი**

1. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სტრატეგია კორონავირუსის COVID-19-ის პანდემიის გამოწვევებთან მიმართებით (შემდგომში: სტრატეგია) შედგენილია საქართველოს კანონმდებლობის, საქართველოს მთავრობის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების და უნივერსიტეტის რეგულაციების გათვალისწინებით.
2. სტრატეგიის მიზანია შექმნას შესაძლებლობა შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტმა (შემდგომში უნივერსიტეტი) სწრაფად და ეფექტურად უპასუხოს კორონავირუსის COVID-19-ის პანდემიის გამოწვევებს. რისთვისაც, წინამდებარე დოკუმენტით განისაზღვრება პანდემიით გამოწვეული რისკების მიმართულებები უნივერსიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებით და გასატარებელი ღონისძიებები იდენტიფიცირებულ რისკებთან მიმართებაში.

## **მუხლი 2. შესაძლო რისკები**

1. კორონავირუსის COVID-19-ის პანდემიისა და უნივერსიტეტის საქმიანობის გათვალისწინებით არსებული რისკები შეიძლება დაიყოს შემდეგი მიმართულებებად:
  - ა) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე პერსონალის და სტუდენტების უსაფრთხოების დაცვა;
  - ბ) საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის წარმართვა;

## **მუხლი 3. პასუხისმგებელი პირები**

1. კორონავირუსის COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებულ გამოწვევების მართვას კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტი პრეზიდენტი აქტიური თანამშრომლობით პირველ ვიცე-პრეზიდენტთან და უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტთან სასწავლო-სამეცნიერო და ხარისხის უზრუნველყოფის დარგში.
2. პანდემიასთან დაკავშირებული გამოწვევების ფარგლებში მიღებული მმართველობითი გადაწყვეტილებების და სხვა გასატარებელი ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელი არიან უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები და თანამდებობის პირები შესაბამისი კომპეტენციების ფარგლებში.

## **მუხლი 4. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე პერსონალის და სტუდენტების უსაფრთხოების დაცვა**

1. კორონავირუსის COVID-19-ის პანდემიის პირობებში უნივერსიტეტის პერსონალის მიერ სამუშაოს შესრულება უნდა განხორციელდეს დისტანციურ

რეჟიმში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სამუშაოს შესრულება თავისი არსით აუცილებლად მოითხოვს სამუშაო ადგილზე ყოფნას.

2. უნივერსიტეტის ფარგლებში მიმდინარე სასწავლო პროცესში პერსონალი და სტუდენტები დისტანციურად იღებენ მონაწილეობას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასწავლო პროცესის სპეციფიკა მოითხოვს პროცესის უნივერსიტეტის ან/და შესაბამის ტერიტორიაზე წარმართვას (პრაქტიკული და ლაბორატორიული სწავლება).
3. გარდა წინამდებარე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული აუცილებელი შემთხვევებისა, უნივერსიტეტის ტერიტორიაზე პერსონალის სტუდენტებისა და სხვა მესამე პირების დაშვება მკაცრად შეზღუდულია, რაც იძლევა შესაძლებლობას მაღალი სტანდარტით იყოს დაცული უსაფრთხოების წესები და მინიმუმამდე იქნას დაყვანილი პერსონალისა და სტუდენტების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შექმნის ალბათობა სასწავლო/სამუშაო პროცესში.
4. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე პერსონალის და სტუდენტების დაშვებისას დაცული უნდა იყოს უსაფრთხოების წესები.

## **მუხლი 5. უსაფრთხოების წესები**

1. პედაგოგებისა და სტუდენტების მიღება უნივერსიტეტში განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული ცხრილის მიხედვით, რომელშიც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული უსაფრთხოების სხვა წესების დაცვისთვის საჭირო წინაპირობები;
2. უზრუნველყოფილ იქნას ნაკადის კონტროლი უსაფრთხო დისტანციის დაცვით (არა უმცირეს 2მ);
3. უზრუნველყოფილ იქნას სტუდენტთა განთავსება სასწავლო მაგიდებთან იმგვარად, რომ არ აღმოჩნდნენ ერთმანეთისა და პედაგოგის პირისპირ;
4. ერთიან შესასვლელთან განხორციელდეს ვიდეოსკრინინგი ან თერმოსკრინინგი ტემპერატურის გასაზომად. ცხელების დაფიქსირების შემთხვევაში მოხდეს აღრიცხვა და დაუყოვნებლივ განხორციელდეს მიმართვა 112-ის ცხელ ხაზს (ასეთი პირი არ დაიშვება უნივერსიტეტის ტერიტორიაზე სასწავლო/სამუშაო პროცესში ჩასართველად);
5. უნივერსიტეტის შესასვლელში განათავსეთ დეზობარიერი, შესაბამისი სავალდებულო ნიშნის მითითებით;
6. თვალსაჩინო ადგილას გამოიკრას ინფორმაცია COVID-19 ვირუსთან დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებების შესახებ;
7. პერსონალისა და სტუდენტთა დაშვება უნივერსიტეტში განხორციელდეს მხოლოდ ინდივიდუალური დაცვის საშუალებების არსებობის შემთხვევაში (ნიღბები, საჭიროების შემთხვევაში სახის ფარები/დამცავი სათვალეები);
8. პერსონალის და სტუდენტებისათვის უზრუნველყოფილს იქნას ხელის დაბანის გამართული საშუალებები (ხელსაბანი ნიჟარა, თხევადი საპონი და ხელის გასამშრალელები ერთჯერადი ხელსახოცები);
9. სამუშაო ადგილებზე განთავსდეს ხშირად შეხებადი ზედაპირების დასამუშავებელი სადეზინფექციო საშუალებები და უზრუნველყოფილ იქნას

მათი სწორად მოხმარების პრაქტიკა (შესაბამისი წესების შემუშავება და პედაგოგების/სტუდენტების ინფორმირება/ტრენინგები);

10. პერიოდულად, დღეში რამდენჯერმე, უზრუნველყოფილ იქნას სამუშაო სივრცეების ბუნებრივი ვენტილაცია;
11. უზრუნველყოფილ იქნას გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერების განთავსება, რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი. ნარჩენების პარკის ამოღება და განკარგვა მოხდეს ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენებით.
12. უზრუნველყოფილ იქნას საერთო სამუშაო ფართის ყოველდღიური დეზინფექცია.
13. უზრუნველყოფილ იქნას სახელურების, ლიფტის ღილაკების, მოაჯირების, კარების სახელურების და ხშირად გამოყენებული ზედაპირების სანიტარული დამუშავება პერიოდულად (2 საათიანი ინტერვალებით).
14. უზრუნველყოფილ იქნას სანიტარული წერტილების პერიოდული დეზინფექცია;
15. უზრუნველყოფილ იქნას სამუშაო სივრცის სველი წესით დალაგება/დეზინფექცია ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-123/ო ბრძანების ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ შესაბამისი დანართით გათვალისწინებული წესით.

## **მუხლი 6. საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის წარმართვა**

1. უნივერსიტეტის საქმიანობის ფარგლებში მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის შეუფერხებლად გაგრძელება.
2. უნივერსიტეტმა უზრუნველყოს დისტანციური სწავლებისათვის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის გამართული მუშაობა (მათ შორის საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს ტექნიკური რესურსების ზრდა მაღალი დატვირთვის რეჟიმში უხარვეზოდ ფუნქციონირებისთვის).
3. უნივერსიტეტის შესაბამისი კომპეტენციის მქონე სტრუქტურულმა ერთეულებმა და თანამდებობის პირებმა იზრუნონ საგანმანათლებლო და კვლევით პროცესების დისტანციური რეჟიმით განხორციელებისას თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების საუკეთესო პრაქტიკის მოძიება-დანერგვაზე და შესაბამისი რეკომენდაციები მისცენ საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობაში ჩართულ პირებს.
4. უნივერსიტეტის შესაბამისი კომპეტენციის მქონე სტრუქტურულმა ერთეულებმა და თანამდებობის პირებმა საგანმანათლებლო და კვლევით პროცესების დისტანციური რეჟიმით შეუფერხებლად განხორციელების მიზნით ტექნიკური დახმარება გაუწიონ პროცესებში ჩართულ პირებს.

5. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს საბიბლიოთეკო რესურსებით სტუდენტებისა და სასწავლო პროცესში ჩართული პერსონალის უზრუნველყოფა, მათ შორის სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი ლიტერატურის გაციფრულება.
6. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ, სკოლებთან ერთად უზრუნველყოს სტუდენტების და პერსონალის მუდმივი ინფორმირება სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებთან დაკავშირებით, რისთვისაც აქტიურად იყოს გამოყენებული ელექტრონული ფოსტა.
7. უნივერსიტეტმა, მოთხოვნილი რესურსების ხელმისაწვდომობის გამარტივებით ან/და უზრუნველყოფით, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის პერსონალს კვლევით საქმიანობაში.
8. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა გაგრძელდეს დისტანციურ რეჟიმში, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით.

## **მუხლი 7. გარდამავალი დებულებები**

1. წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული სტრატეგია რისკების სფეროების იდენტიფიცირებისა და შესაბამისი ღონისძიებების განსაზღვრის თვალსაზრისით ექვემდებარება სისტემატიურ (არანაკლებ 3 თვეში ერთხელ) გადასინჯვას, რომლის ფარგლებშიც სტრატეგიის დოკუმენტში უნდა აისახოს:
  - ა) COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული ახალი გარემოებები, პროცესები და რეგულაციები.
  - ბ) უნივერსიტეტში, ქვეყანაში და მსოფლიოში შექმნილი საუკეთესო გამოცდილება რისკის სფეროების ეფექტური მენეჯმენტის და შესაძლო ნეგატიური შედეგების მაქსიმალური განეიტრალების მიზნით.